საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 39 (6533) 25 სექტემბერი პარასკევი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებია!**

**ეს დღე გადაწყვეტს საქართველოს მომავალს**

**თითოეული ჩვენთაგანის მონაწილეობა და ხმა არჩევნებში ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარების გარანტიაა!**

## რაიონულ საკრებულოში

22 სექტემბერს რაიონის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების, ქალაქისა და სოფლის საკრებულოების გამგებლების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და საარჩევნო უბნებში მიმაგრებული მუშაკების თათბირი არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ **აკაკი პირველმა.**

არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე ინფორმაციებით გამოვიდნენ: კავშირგაბმულობის ცაგერის საწარმოო სამმართველოს უფროსი **იური ქაბუკიანი,** შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი **ომდარ ახვლედიანი,** საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის უფროსი ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში **ოლეგ ბეშლლიანი,** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტის კანდიდატის ედუარდ შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი **დავით კოპალიანი,** ალპანის საკრებულოს გამგებელი **თენგიზ ბურჯალიანი,** ცაგერის რაიონის სამხედრო განყოფილების უფროსი **ხვიჩა ფუტკარაძე,** ლაჯანურჰესის დირექტორი **დავით ჩარხიანი.**

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა აფხაზეთის მოვლენების მონაწილე, დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატი საქართველოს პარლამენტის არჩევნების ცაგერის №45 საარჩევნო ოლქში **მურთაზ ახმედის ძე ჩაკვეტაძე.**

თათბირზე გამოიკვეთა, რომ საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პარლამენტის არჩევნებს, მის უცილობლად ჩატარებას. ამომრჩევლებმა უნდა ისარგებლონ კონსტიტუციური უფლებით, არჩევნების დღეს, 11 ოქტომბერს გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ მათთვის სასურველ პარტიას, დამოუკიდებელ კანდიდატს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატს.

თათბირზე ხაზი გაესვა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების, მიმაგრებული ამხანაგების პასუხისმგებლობის ამაღლების, არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ელექტროენერგიის შეუფერხებელი მუშაობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სხვა აქტუალურ საკითხებს.

თათბირის მუშაობა შეაჯამა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ **აკაკი პირველმა.**

## „ქარტია - 91“ — პირველი ყრილობა, რეალობა და პერსპექტივა

ორი დღე (15-16 სექტემბერი) მიმდინარეობდა პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია—91“-ის პირველი ყრილობა. ნიშანდობლივია, რომ იგი გაიმართა ქუთაისში, უძველეს ქართულ ქალაქში, საქართველოს ოდინდელ კულტურულ ცენტრში. სხვათაშორის, ყრილობაზე ლაპარაკი იყო ქუთაისის ძველი ფუნქციებისა და ამერ-იმერ საქართველოში გარკვეული წონასწორობის აღდგენაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ქარტია—91“-ის შექმნის ისტორია წელიწადსაც არ ითვლის, ის უკვე ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა—მისი დამფუძნებლები ხომ სერიოზული, საპარლამენტო მუშაობაში საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსები არიან. მათგან ორი, ბატონები თედო პაატაშვილი და ირაკლი მელაშვილი, სახელმწიფო საბჭოს წევრები არიან.

ძირითადი, რაზეც იმსჯელა ყრილობამ, ბუნებრივია, იყო „ქარტია—91“-ის წინასაარჩევნო პოლიტიკური პლატფორმა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ თედო პაატაშვილმა. აღინიშნა, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის უპირველესი ამოცანაა უახლოეს ხანში სრულფასოვან ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ხოლო „ქარტია—91“—თავის ფუნქციას ხედავს იმაში, რომ ხელი შეუწყოს ისეთი ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა ქვეყნის დამოუკიდებლობა და სიძლიერე, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, პარლამენტარიზმი და დემოკრატია, აქტიური ჩართვა მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

„ქარტიას“ მიაჩნია, რომ ფარული საზოგადოებრივი უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საყოველთაო სამოქალაქო ცნობიერების არარსებობაა. მის აღსადგენად აუცილებელია ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რისთვისაც ამ რთულ პერიოდში სრულად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო სამართლის ის მძლავრი მექანიზმები, რომლებიც ახლა უკვე ჩვენზე, როგორც სრულუფლებიან საერთაშორისო სამართალ-სუბიექტზეც ვრცელდება.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## არჩევნები უნდა ჩატარდეს

ძნელბედობა, ჭირთათმენა და უბედურება ქართველთა ხვედრი ყოფილა ოდითგან. რას იზამ, ისტორია მეორდება, და ვაჟას თქმისა არ იყოს, ცუდის რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი.

და მაინც, იშვიათად თუ ყოფილა ისეთ მდგომარეობაში ქართველი ერი, როგორი უბედურების წინაშეც დღესაა. საქართველოს თავს ესხმიან გადამთიელები. სისხლი იღვრება აფხაზეთში, იღუპებიან ბიჭები. ძარცვავენ და უსწორდებიან მოსახლეობას.

სასტიკი უწესრიგობა და ქაოსია ირგვლივ. ძმა ძმას არ ინდობს, სიმშვიდე და მყუდროება გაუხდა სანატრელი ქართველს. ამ სიტუაციაში საქართველო აუცილებელია მართოს კანონიერმა მთავრობამ, აუცილებელია ჩატარდეს არჩევნები, რაც ერთადერთი გამოსავალია. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, ნაღდი ქართველი თუ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ვისაც საქართველოს ბედნიერი მომავალი აინტერესებს, აუცილებლად მხარს დაუჭერს არჩევნებს.

დავივიწყოთ გუშინდელი, სალად შევხედოთ მოვლენებს, ვიცხოვროთ ხვალინდელი დღით და თუ გვინდა ჩვენს მომავალს ბედნიერი ცხოვრება დავუმკვიდროთ, აუცილებლად მივიდეთ 11 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან და გავაკეთოთ სწორი არჩევანი. თუ ასე არ მოვიქცევით, დავიღუპებით, რადგან დღეს მრავალტანჯული საქართველო ფაქტიურად ომის ცეცხლშია გახვეული.

ჩემის აზრით, არც დიდი პრეტენზიულობის დრო გვაქვს, ყველაფერი იმის გამოსწორება, რაც დღეს საქართველოში ხდება, ერთი და ორი დღის საქმე არაა. ამჯერად ვისაც ვენდობით, ის ავირჩიოთ. მოთხოვნებისა და პრეტენზიების დროც დაგვიდგება და შემდეგისათვის გადავდოთ.

**ჯ. მანდარია.**

## „თქვენ უფლება გაქვთ პარლამენტში იყოთ“

სათაურში გამოტანილი ფრაზა იმ მოკლე ბარათიდანაა გადმოტანილი, ბატონმა მერაბ ურიდიამ რომ მიიღო ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე 22 სექტემბერს. პოლიტიკით მეტნაკლებად დაინტერესებული ადამიანისათვის უცხო არაა მერაბ ურიდიას სახელი. იგი არის პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია—91“-ის თავმჯდომარის მოადგილე და როგორც დეპუტატობის კანდიდატი, პარტიული სიით კენჭს იყრის იმერეთის №6 მრავალმანდატიან ოლქში (ამ ოლქში შედის ჩვენი რაიონიც). მას თან ახლდა ამავე ოლქში პარტიული სიით წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა ჯგუფი (მ. შევარდნაძე, ვ. გორდულაძე, ი. ხმელიძე და სხვ). ასე, რომ ეს იყო „ქარტია—91“-ის წინასაარჩევნო შეხვედრა ცაგერელ ამომრჩევლებთან.

ბატონმა მერაბ ურიდიამ ვრცლად და, როგორც ერთმა დამსწრეთაგანმა აღნიშნა კერძო საუბარში, მჭევრმეტყველურად ისაუბრა „ქარტია—91“-ის შექმნის ისტორიასა და მის სამომავლო ამოცანებზე, საქართველოში დღეს არსებულ ვითარებაზე და მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს შენების, შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლის გზებზე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებზე, „ქარტია—91“-ის საარჩევნო პროგრამაზე. მისმა გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია და დარბაზიდან წამოსულ უამრავ შეკითხვას ამომწურავი პასუხები გაეცა. ნიშანდობლივია, რომ ბატონ მერაბ ურიდიას არ უთხოვია ამომრჩეველთა ხმები: ვინც გსურთ ის აირჩიეთ, ოღონდ არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა. ეს იყო მისი ერთადერთი სათხოვარი. არჩევნები უნდა ჩატარდეს — თუ ქვეყნისთვის მშვიდობა და სიცოცხლე გვსურს.

# მშრომელთა სოციალისტური პარტია

ძვირფასო მკითხველო!

ბევრი თქვენთაგანისათვის ალბათ ცნობილია, რომ შეიქმნა და მოღვაწეობას შეუდგა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია, გამოქვეყნდა პარტიის წესდება. პარტია და მისი ბეჭდვითი ორგანო რეგისტრირებულია სათანადო ორგანოებში.

მიმდინარე წლის იანვარში პარტიის დამფუძნებელმა ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია საჯაროდ აცხადებს, რომ გადაჭრით დაიცავს რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ ინტერესებს მათი სოციალური მდგომარეობის, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის განურჩევლად.

ძირითადი და მთავარი, რითაც ჩვენი პარტია გამოირჩევა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან, ეს არის მისი სოციალისტური ორიენტაცია-კურსი. ჩვენ გადაჭრით და საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ სოციალიზმის თეორიული მოძღვრების ძირითადი პრინციპების მომხრე ვართ.

ჩვენთან რომ სოციალიზმის ძირითადი იდეები ყოველთვის სრულად და სწორად არ ხორციელდებოდა, ეს ხალხის სოციალური არჩევანის ბრალი და მიზეზი კი არ არის, არამედ მათი განხორციელების გზებისა და საშუალებათა შერჩევისა და განსაზღვრის დროს დაშვებული შეცდომებით არის განპირობებული.

ვერც ერთი ობიექტური მკვლევარი ვერ უარყოფს, რომ ჩვენმა ხალხმა, მიუხედავად განცდილი უმძიმესი ფიზიკური და ზნეობრივი დანაკლისებისა, სწორედ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიულად მეტად მოკლე ვადაში, მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევები მოიპოვა.

1921 წლიდან 1986 წლამდე, ე. ი. 65 წლის მანძილზე საქართველოს სამრეწველო პოტენციალი 400-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობისა 8-ჯერ გაიზარდა.

ამავე პერიოდში კაპიტალურმა დაბანდებებმა 43 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა და აგებულ იქნა 1500-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, ათეულათასობით საცხოვრებელი ბინები, სოციალურ-კულტურული და სამეცნიერო დანიშნულების ნაგებობები.

და რაც მთავარია, ყოველწლიურად განუხრელად იზრდებოდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და ადამიანს შეეძლო მისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პროდუქტი და სამრეწველო პროდუქცია 30-ჯერ, 50-ჯერ და უფრო იაფადაც ეყიდა, ვიდრე დღეს.

ყოველივე ამის შემდეგ პირდაპირ გაკვირვებასა და აღშფოთებას იწვევს ზოგიერთთა გამოსვლები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სადაც ისინი სინდისის ქენჯნის გარეშე აცხადებენ, საქართველოში 1921 წლამდე უზრუნველი ცხოვრება სუფევდა და რომ სოციალისტურ მშენებლობას ხალხისათვის სიღატაკისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანია.

სოციალიზმის ნაკლი ის კი არ იყო, რომ საბჭოთა პერიოდში არავითარი მიღწევები არ ყოფილა, არამედ ის, რომ მრავალ მიზეზთა გამო, რაც ცალკე საუბრის თემაა, ყველაფერი იმ მასშტაბით და ისე არ განხორციელდა, როგორც წინასწარ იყო ჩამოყალიბებული.

ასე რომ, სოციალიზმს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას, როგორც ცხოვრებისა და წარმოების წესს, აქვს არსებობის სრული უფლება.

და სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია არათუ უარყოფს სოციალისტური განვითარების გზას, არამედ ყოველმხრივ იბრძოლებს და იმოღვაწებს ნამდვილი, ჭეშმარიტი სოციალისტური ცხოვრებისა და წესის აღდგენის, შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის, რამეთუ ის არის ყველაზე მისაღები და სწორი გზა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისათვის.

როგორია პარტიის დამოკიდებულება წარმოების ძირითად საშუალებათა პრივატიზაციის მიმართ?

პრივატიზაციას და კაპიტალისტური საბაზრო ურთიერთობის აღდგენას გარდუვლად მოჰყვება მოსახლეობის უმრავლესობის გაღატაკება და ერთეულთა აღზევება, რაც უკვე ფაქტიურად დაიწყო და სწრაფად მიმდინარეობს.

აქედან გამომდინარე მშრომელთა სოციალისტური პარტია უპირატესობას ანიჭებს წარმოების საშუალებებზე საკუთრების სოციალისტურ ფორმას და მხარს უჭერს ინდივიდუალურ საკუთრებას. ამასთან კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მხარს დაუჭერს საკუთრების სხვა ფორმებსაც. მათ შორის კერძო საკუთრებასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ ისინი უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს; საზოგადოებრივ წარმოებაში შეტანილი წვლილის მიხედვით განაწილების სამართლიანი პრინციპის განხორციელებას, გამორიცხავენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და მასობრივ უმუშევრობას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დიდი სამრეწველო საწარმოები უნდა დარჩნენ სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო მცირე საწარმოები გაიცეს იჯარით ან გარკვეული სათასურის გადახდით გადაეცეს შრომით კოლექტივებს.

პარტიას მიაჩნია და საქვეყნოდ აცხადებს, რომ მიწა და მისი წიაღისეული, წყალი და ტყის მასივები საერთო სახალხო საკუთრება უნდა იყოს.

მიწის ერთი ნაწილი, დადგენილი ნორმის მიხედვით საკარმიდამო, საბაღე, სააგარაკო ნაკვეთების სახით შეიძლება და უნდა გადაეცეთ საკუთრებაში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მცხოვრებლებს, სამუდამოდ და მემკვიდრეობის უფლებით, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული არ არის საქართველოს საუკეთესო ბაღვენახები და სავარგულები გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოჩნდეს ცალკეულ პიროვნებათა, მათ შორის უცხოელთა ხელში.

თუ მთასა და მთისწინეთში მიწის პრივატიზაცია საჭირო და შეიძლება აუცილებელიცაა, [illegible]ას სავალდებულო [illegible] არის და არ უნდა იყოს ბარის რეგიონებისათვის.

ხელ[illegible] წინასწარ [illegible] მეცნიერული განალიზების გარეშე საქართველოს სუბტროპიკული მეღვინეობისა და მეხილეობის, სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს შიმშილის პირას მისულ საქართველოს.

პარტიას მიაჩნია, რომ მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევა თვითმიზნად არ უნდა გავიხადოთ და მიწა კერძო მესაკუთრეს გადაეცეს მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში და იმის გათვალისწინებით აქვს თუ არა მას რეალური შესაძლებლობა აამაღლოს მისი ნაყოფიერება და ამით მეტი სიკეთე მოუტანოს არა მარტო თავის თავს, არამედ საზოგადოებასა და მთელ ერს.

ჩვენს პარტიას გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია, რომ უახლოეს დროში შემუშავებულ იქნას სახელმწიფო საკუთრების დაცვისა და სტრატეგიული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც სახელმწიფო საკუთრების ანგარებით გამოყენების ყველა არხს გადაუკეტავს ე. წ. კოოპერატორებსა და კომერციულ მაღაზიათა მფლობელებს.

ჩვენი პარტია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში წარსულისაგან აიღებს ყველაფერს, რაც კარგი იყო. კარგი კი ბევრი რამ იყო, რა თქმა უნდა ცუდიც იყო. ადამიანები ახლა სულ უფრო ხშირად იგონებენ კარგს. ნიშნავს თუ არა ეს მოგონებანი მოწოდებას: უკან! არა, არ ნიშნავს!

წინ, იმ კარგისაკენ, რომლის გაკეთებაც ჩვენმა წინაპრებმა ვერ მოასწრეს და ვერ შეძლეს.

**პ. გარდაფხაძე,**
**საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის მდივანი.**

## სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის

# განცხადება

### მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესახებ

სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალურ ორგანიზაციას, საფუძვლიანად გაეცნო რა 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტს, რაზედაც ხელი აქვთ მოწერილი რუსეთის ფედერაციის სახელით ბორის ელცინს, საქართველოს რესპუბლიკის სახელით ედუარდ შევარდნაძეს—ორ სუვერენულ სახელმწიფოს მეთაურს, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხარეებისა და ოლქების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს—მიაჩნია, რომ იგი არის ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოთა და ავტონომიურ ფორმირებათა შორის არსებული ურთულესი ურთიერთობიდან გამოსვლის ერთ-ერთი რეალური ნორმატიული აქტი, მისი განხორციელება უზრუნველყოფს ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტას არა საომარი საშუალებებით, არამედ და ეს არის მთავარი,—პოლიტიკური დიალოგის გზით, რითაც უნდა აღსდგეს მხარეთა შორის სამართლიანობა და ისტორიული თანაცხოვრების წესი.

ჩვენთვის უმთავრესია, რომ ამ დოკუმენტის პირველ მუხლში ჩაწერილი, „უზრუნველყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა", ასევე მთავარზე უმთავრესია საქართველოს შიდა კონფლიქტურ სიტუაციაში მათი გამწვავების თუ აღკვეთის მიზნით სხვათა ჩარევის ისტორიულად მავნე პრაქტიკა, გამოკვეთილია ეგრეთწოდებული აფხაზური პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებანი, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობები კეთილგონიერებისა და კეთილმეზობლური მეთოდებით.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაცია მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს მოსკოვის შეთანხმების დოკუმენტს და გმობს ყველა იმ პირის და ორგანიზაციის მოქმედებას, ვინც აკვიატებულად ამცირებს ამ დოკუმენტაციის ისტორიულ მნიშვნელობას, გამოთქვამს საწინააღმდეგო მოსაზრებას და ამით კიდევ უფრო ამწვავებს მხარეთა შორის დაძაბულობას, ხელს უწყობს დესტაბილიზაციას საქართველოში.

დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაცია ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის დაცვის ბრძოლებში დაღუპულთა გამო, ღრმა სამძიმარს უცხადებს მათს ოჯახებს და მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი—ერთობისა და თანადგომისათვის, მიმტევებლობისა და ურთიერთპატივისცემისათვის, ცხოვრების ქართული ტრადიციული წესის აღდგენა—დამკვიდრებისათვის, ნორმალური ადამიანური ურთიერთობის დამყარებისათვის.

სრულიად საქართველოს დემოკრატიული პარტიის რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის სახელით ამ ორგანიზაციის

**თავმჯდომარე: გურამ ვაჩაძე.**

ქ. ამბროლაური, კოსტავას 23.

# „ქარტია-91"—პირველი ყრილობა, რეალობა და პერსპექტივა

(დასასრული)

პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს ავტონომიების პრობლემას. სხვათაშორის, იმასაც გაესვა ხაზი, რომ ცხინვალისეული „ქართული სამშვიდობო ვარიანტი" აფხაზეთისათვისაც ყოვლად მიუღებელია. საკამათო არ გამხდარა არც ის მოსაზრება, რომ აფხაზეთში უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და პრობლემა უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციური გზით.

ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და ამ მიმართებით „ქარტია—91"-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა, „ქარტია—91"-ის წინასაარჩევნო ეკონომიკური პლატფორმის შესახებ მოხსენება გააკეთა ბატონმა მამუკა ლობჟანიძემ. მან ხაზი გაუსვა ეკონომიკური რეფორმისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაჩქარების აუცილებლობას.

ყრილობამ იმსჯელა „ქარტია—91"-ის გამგეობის მიერ პარტიულ-ორგანიზაციულ დარგში გატარებული მუშაობის, ორგანიზაციის წესდებაში ცვლილებათა შეტანის, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შესახებ. ყურადღება გამახვილდა რაიონული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

ყრილობამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი თედო პაატაშვილი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ბატონი მერაბ ურიდია.

ყრილობის მუშაობაში სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატი საქართველოს პარლამენტის არჩევნების ცაგერის №45 საარჩევნო ოლქში ბატონი გელა ჩარკვიანი, იგი მიესალმა ყრილობას და გამოხატა მადლიერება მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში მისი კანდიდატურისადმი მხარდაჭერის გამო.

**ია ხმელიძე.**

რედაქტორის მოადგილე
მ. ძნელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლეგულობთ ხილს

## ფასები ასეთია:

ცაგერის სასურსათო კომბინატი შეუფერხებლად იღებს თესლოვან და კურკოვან ხილს შემდეგ ფასებში:

ვაშლი მოკრეფილი—5 მანეთი;

ჩამოყრილი (ნაქარი)—2 მანეთი;

მოცვი—10 მანეთი;

მაყვალი—10 მანეთი;

შინდი—7 მანეთი.

დამზადებული ხილის ღირებულების 40 პროცენტს მიიღებთ ჩაბარებიდან მეორე დღეს, დანარჩენს—არაუგვიანეს 5 დღეში.

ხილის გამოტანა მოხდება ჩვენივე ტრანსპორტით.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დაგვირეკოთ შემდეგ ნომერზე: 24-19.

**სასურსათო კომბინატის დირექცია.**

---

# ყურადღება!

ქალაქ ცაგერის მოსახლეობა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან გადადის გამომცხვარი პურის სტალონო სისტემაზე.

გთხოვთ გამოცხადდეთ ქალაქის საკრებულოში და წარმოადგინოთ საბინაო წიგნები.

**ქალაქ ცაგერის საკრებულოს ადმინისტრაცია.**

---

# გილოცავთ

**ლეილა ნემსწვერიძეს, ჟორა ჩაკვეტაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

**ნინო ომანაძე.**

**ლეილა გიორგობიანს, ჯონი გურჯალიანს**

გილოცავთ ბედნიერებას გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

**ლაცორიის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

**ირმა გუბავას, მამუკა ქარსელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.

**ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, საბავშვო ბაღის თანამშრომლები.**

**ირმა გუბავას მამუკა ქარსელაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი!

**ფიქრია, ბაჩუკი მეშველიანები, ლანა ხაჭაპურიძე.**

---

# გილოცავთ

**ვიქტორ ქარსელაძის ოჯახს**

გილოცავთ მამუკას ბედნიერებას.

**ჩხუტელის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

**ირმა, გია, ნონა, მევლუდ ირემაძეებს**

გილოცავთ პირველი შვილისა და შვილიშვილის შეძენას. ლაგბედებოდეთ სიმრავლე, გფარავდეთ ღმერთი.

**ლამა ბურჭულიანი, ოწერ ნემსწვერიძე, ლილი, ოთარ გურგუჩიანები, სოსო გასვიანი, ჯიბილო მიქაძე, ვაჟა კვენეტაძე, ზაირა ქილვარია ოჯახებით.**

**ეკა ჯემალის ასულ გვიშიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალი სასიხარულო დღე გაგთენებოდეს.

**ნატო.**

**მერი, თამაზ ქარსელაძეებს**

გილოცავთ მამუკას ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**ბაბუცა, გენური ქარსელაძეები, ფაცო კვირკაშვილი.**

**ნატო ომანაძეს, ნანა აკობიძეს**

გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში. მოწყობას. გფარავდეთ ღმერთი.

**დალი.**

**ლია, კარლო კვირკაშვილებს**

გილოცავთ მაკას სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვას.

**ბაბუცა, სოსო, გენურ ქარსელაძეები.**

**ეკა დეიდა**

გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეს ღმერთი.

**ფიქრია, ვერიკო, სოფიკო და გვანცა.**

**მარინე, გია მუშკუდიანებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

**მერაბ ომანაძე.**

**მარიამ, გალაქტიონ ჟაგუკიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეული მამულიშვილი.

**რამაზ ახვლედიანი ოჯახით.**

**ლია გუბავას, კარლო კვირკაშვილს**

გილოცავთ მაკას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**გივი მეგრელი ოჯახით.**

**ნანა კალანდაძეს, ემზარ ფუტკარაძეს**
**გიზო, იზო კალანდაძეებს**

გილოცავთ პატარა რუსუდანის დაბადებას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

**იამზე, მარინე ასათიანები.**

**მარინე, მირზა, გოგუცა, ახმედ!**

გილოცავთ ვაჟიშვილის და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

**ილარიონ გელოვანი, ზურაბ, თამაზ მდივნები, ზურაბ ახვლედიანი, რუბენ ქომეთიანი, რუბენ გოგიძე ოჯახებით.**

**იულო მამარდაშვილის ოჯახს**

გილოცავთ პატარა ნათიას დაბადებას. გაიზარდოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

**ცარო, ნატო, მელორი.**

**ფატი, თამაზ, ლენა, ვარლამ მამარდაშვილებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

**ცარო, ნატო, მელორი.**

**საშურა, ელიშუქ ახვლედიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**უახლოესი მეზობლები.**

---

# ზვიად გიორგის ძე გუგავა

შეუძლებელია შეგუება იმ უბედურებასთან, რომელიც შენი ტრაგიკული წასვლით დაგვატყდა თავს შენს მეგობრებს. ერთგული, მოსიყვარულე იყავ ოჯახის, მეგობრების, თანამშრომლების, ყველასი. კარგი მომავალი გელოდა, ექვსი წლის ნანატრი ოცნება აგისრულდა, სტუდენტი გახდი, მაგრამ არ ქაგაცალა უბედურმა ბედისწერამ.

რით ვანუგეშოთ მწუხარებით წელში გატეხილი შენი დედა, რომელსაც ცრემლი არ შეშრობია შვილის დაღუპვის დღიდან. მამა არ გახსოვდა, 5 თვის იყავ რომ დაგეღუპა, მაგრამ მაინც მამასთან ირჩიე წასვლა.

28 სექტემბერს უშენოდ შევხვდებით შენი დაბადების დღეს. 24-ე შემოდგომას ვეღარ მოესწარ. თვალცრემლიანი მოვალთ შენს საფლავთან და დაბადების დღეს მოგილოცავთ. გწამდეს, სანამ ცოცხლები ვიქნებით, მარადიულად დარჩები ჩვენს გულებში.

ნათელში იყოს სული შენი.

**მაია, რადმილა, შორენა, ხვიჩა, გელა, ავთო, ვასო.**

---

# ხ ს ო ვ ნ ა

## ზაირა აქვსენტის ასული გოლეთიანი

წინასწარი გრძნობები არ გასვენებდა, თითქოს იცოდი რაღაც უნდა მოგსვლოდა. მაგრამ სიკვდილი, ალბათ, წარმოუდგენელი იყო შენთვისაც და ჩვენთვისაც, შვილო! თავზარდამცემი უბედურება, რაც ამ 9 წლის წინ შენი მოულოდნელი სიკვდილით გამწვიცადეთ, მთელი ცხოვრება მიგვყვება შენს ოჯახს და ახლობლებს.

ლამაზი და ხალისიანი, მუდამ მოფუსფუსე, ყველაზე უზომოდ შეყვარებული ბრმა ტყვიამ გიმსხვერპლა, შენმა ბედისწერამ გიმსხვერპლა, მოგწყვიტა საყვარელ ოჯახს. რა ცოდვა ხარ შვილო, სიცოცხლე გინდოდა და ვერ იცოცხლე. ყოველ წუთს თვალწინ გვიდგეხარ შენი ბრიალა თვალებით. რა ვქნათ, ზაკო, მხოლოდ ერთი იმედით ვცოცხლობთ—სანამ ჩვენ ვიქნებით, შენც იქნები მარადიულად, ჩაუქრობლად ჩვენს გაცეცხლებულ გულებში.

გრძელდება ცხოვრება. ტკბილად გიგონებთ დედმამიშვილები, რძალი, სიძე, ყველა ახლობელი, შენს სულს იფიცებენ აკაკი, დათუნა და ლაშა.

24 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. რამდენი აუხდენელი ოცნება გაჰყვა თან. შენ ხომ ანგელოზი წახვედი ამ ქვეყნიდან. ახლა უკვე 30 წლის ქალი ხარ და ალბათ ოცნებებიც ახდენილი გექნება.

გილოცავთ დაბადების დღეს. იქ მაინც იყავ ბედნიერი, თუ კი ამას ბედნიერება ჰქვია.

**შენი დედ-მამა, დედმამიშვილები, სიძე, რძალი.**

---

დაუნდობელი აღმოჩნდა ჩვენთვის 1992 წლის 14 მაისი, ამ დღეს დაბნელდა შენი ოჯახის მზე. ორპირის კლდეებში დალიე სული...

25 სექტემბერიც მოვიდა. მოვიდა უშენოდ. ამ დღეს 42 წლისა გახდებოდი. სიცოცხლე, შრომა გწყუროდა, ოჯახზე ფიქრში გარინდული ავტოავარიის მსხვერპლი გახდი.

გზააბნეულები დავრჩით. გვიმძიმს უშენოდ, ძნელია ქვრივ-ობლობა. გვენატრები, სიზმარში მაინც გნახოთ. მწუხარებამ ცრემლიც გაგვიშრო. ცხოვრება თავისას მოითხოვს. გწამდეს, პატიოსნად ვემსახურებით შენს სახელს, არ გავაციებთ შენს კერას.

# დადაში გერასიმეს ძე გვიშიანი

თვალცრემლიანი ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 25 სექტემბერს. ჩვენო კეთილო დადაში. ღმერთს ვთხოვთ შენი სული ნათელში იყოს. შენი სახელი წმინდა სანთლად ანთია შენი ცოლ-შვილის, დედის, სიძის და მეგობრების გულში.

ბედნიერი იქნებოდი, რომ მოსწრებოდი შვილიშვილს.

**დედა, მეუღლე, შვილები, სიძე.**

---

დები გლაშა, ნანა, ანეტა, მერი, თალიკო ახვლედიანები თანაუგრძნობენ სულიკო ახვლედიანს მეუღლის

**გრიშა ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ ნემსაძე ოჯახით იუწყება

**ბუჭუ გურგუჩიანის**

გარდაცვალებას.

---

ნოდარ გურგუჩიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ბუჭუ გურგუჩიანი**

---

ურა, ბორის გოლეთიანები თანაუგრძნობენ ავთო ბერიძის ოჯახს

**მირიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შურა ბერიძე, ნუგზარ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ავთო ბერიძის ოჯახს

**მირიან ხიდაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

არქიტექტურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დარეჯან სილაგაძეს დედის

**დუდუშას**

გარდაცვალების გამო.

---

ვიქტორ, დავით, სოზარ, ალექსანდრე ცვარიანები თანაუგრძნობენ ავთო ბერიძის ოჯახს

**მირიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვიტალი მუშკუდიანი, ლამარა, დათო, მურთაზ კაჭკაჭაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს, ლია დავითულიანს შვილისა და დისშვილის

**დათო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ოლეგ ომანაძე, ნური ხეცურიანი, გია ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დათო ჩაკვეტაძე.**

---

ნათია ჩიქოვანი, გურამ, ზურაბ, მამუკა ჩაკვეტაძეები თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის

**დათოს**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ძაძუ, შვილები მამუკა, იაზა, ლუიზა, გულიზა, მაია, ... მუშა, ძმისშვილები, დისშვილები, სიძეები, ცოლისძმები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, რძლები, შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბუჭუ იოვაშის ძე გურგუჩიანი.**

---

კახა ბურჯალიანი, ბადრი გურგუჩიანი ოჯახებით იუწყებიან
**ბუჭუ გურგუჩიანის**
გარდაცვალებას.

---

ლაცორიის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს გოჩა დავითულიანს ბიძის
**ჯიუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნუცა ჩაკვეტაძე, ანდრო ბურჯალიანი, ვახტანგ, ნოდარ, გელა, მამუკა ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ, ნინო ჩაკვეტაძეებს
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

მერი ხეცურიანი თანაუგრძნობს ლოლა, შალვა ხვადაგიანებს შვილის
**გიზოს**
გარდაცვალების გამო.

---

№ 1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვენერა გოლეთიანს ძმისშვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ტარიელ გუგავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დადაში დავითულიანი, ენგელი აფრიდონიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ, ნინო ჩაკვეტაძეებს შვილისა და ძმის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ბიძა ავთანდილი, ბიცოლა სულიკო, ბიძაშვილები ლანა, გაგა, ირაკლი ბერაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**მირიან ზაურის ძე ხიდაშელი.**

---

ზაზა დავითულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძე.**

---

იური, რევაზ, ასლან ომანაძეები, რამაზ გაგილაძე, გაბრიელ ჯანელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძე.**

---

დავით, შარდენ სვანიძეები ოჯახებით იუწყებიან
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მურთაზ ბერაძე, გივი ასათიანი, ბიტუ მეშველიანი, გივი, ვახტანგ ახვლედიანები, ტუხუ, რომეო მანდარიები, ბანჩო გოლეთიანი, ბაჩვა სალინაძე, ზურაბ ხაბულიანი, ზაურ, გოგი ომანაძეები, ბონდო ჰაბუკიანი, იუზა მინდაძე, სოზარ ცვარიანი, სოსო კუხალაშვილი, აკაკი სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ პარსონ ჩაკვეტაძეს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

დედა ლოლა, მამა შალვა, და ნათელა, ძმა გაგა, ბიძები მურმანი, სერგო, ვაჟა, ბიცოლები როზა, მერი, ანიკო, ბიძაშვილები, დარიკო ჯანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გიზო შალვას ძე ხვადაგიანი.**
დაკრძალვა 26 სექტემბერს, შაბათს, სოფ. ზოგიში.

---

ნინა ისიანი, ჯიბო ნემსწვერიძე, იური ისიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შალვა ხვადაგიანის ოჯახს შვილის
**გიზო შალვას ძე ხვადაგიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნიკა, გურამ ჩაკვეტაძეები, დუგლას, ბიჭიკო ომანაძეები ოჯახებით იუწყებიან
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილებისა და შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოგუცა ბურჯალიანს ბიძაშვილის
**ბუჭუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს დათო, ჯონი, დადაში დავითულიანებს, ენგელი აფრიდონიძეს
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ცაცა კუხალაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძე**
და სამძიმარს უცხადებს ახლო ნათესავებს.

---

ნატო, ანზორ ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ, გალაქტიონ ჩაკვეტაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულნარა და პარსონ ჩაკვეტაძეებს საყვარელი შვილის
**დათოს**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

დათო ხეცურიანი, ზაურ ახვლედიანი, მამუკა სვანიძე, გელა მამარდაშვილი, ბუჭუ ბენდელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა და პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ნინო, ჯონი დავითულიანები თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

რუბენ ხვადაგიანი ოჯახით თანაუგრძნობს გულნარა, პარსონ, ნინიკო ჩაკვეტაძეებს შვილისა და ძმის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

სარდიონ ფუტკარაძე, რამაზ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

შვილები აბესალომი, მერი, და სონა, რძლები ლუბა, ცისანა, ნანა, სიძეები ანზორ ნემსწვერიძე, გოგი მუშკუდიანი, გია ჩახვაძე, თემურ ჩიქოვანი, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ოლღა საბას ასული სვანიძე-ფუტკარაძე.**
დაკრძალვა 24 სექტემბერს, ხუთშაბათს, სოფ. სანორჩში.

---

ჯიბილო, ბორის მიქაძეები, ვაჟა კვენეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ზოია, ვალერი კვირკაშვილები თანაუგრძნობენ პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

მამიდაშვილები გოგუცა, ბიძინა, ნოდარ, ზაურ, ვალოდია, ჯიუ, იუზა, მერი ბურჯალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ბუჭუ გურგუჩიანი.**

---

ალექსანდრე, ვლადიმერ, ნინა, კუკური, მურთაზი, სოსო ბერიძეები, გივი კოპალიანი, ზურაბ სვანიძე, იოსებ ჩარკვიანი, ზურაბ ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**მირიან ზაურის ძე ხიდაშელი.**

---

გურამ, შიო, ნოდარ ჩაკვეტაძეები, ლუბა ბენიძე ოჯახებით იუწყებიან
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალებას.

---

ილარიონ გელოვანი, გიგლა ხვადაგიანი, მელორ ფირცხალავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ომარ, გელა ჰაბუკიანებს დედის
**სონას**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის ელქსელების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზიკო, ვიტალი ლაზარიანებს დედამთილისა და დედის
**ნადია ლაზარიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ გულიკო, სულიკო ბიბიჩაძეებს მაზლისა და ძმის
**შოთა ბიბიჩაძის**
გარდაცვალების გამო.

---

საშა ჯიაძე, მარინე კოპალიანი, სულიკო, ვარდო, ზინა სილაგაძეები თანაუგრძნობენ ნარგიზა ფუტკარაძეს ბებიის
**ოლღა საბას ასული სვანიძე-ფუტკარაძის**
გარდაცვალების გამო.

---

საშიკო, შურა ასათიანები, ზურაბ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გოგუცა, შალიკო გასვიანების ოჯახს შვილის
**გულნარა გასვიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ჯანიკო სილაგაძე, თემურ გუგავა, ჯემალ ცვარიანი, დოდო უჩაძე, ვერა ყურაშვილი, ლენა ხეცურიანი, მურთაზ ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ გურამ, მარო დავითულიანებს
**ჯიუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

დედა გულნარა დავითულიანი, მამა პარსონ ჩაკვეტაძე, და ნინო, მამიდები ვენერა, ნათელა, დეიდები ჟენია, ლია, ბიძა დავითი, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დავით პარსონის ძე ჩაკვეტაძე.**
დაკრძალვა 26 სექტემბერს, შაბათს, სოფ. ზუბში.

---

ლასურიაშის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლარა, ომარ ჰაბუკიანებს
**სონას**
გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ჩიქოვანი, ჯუმბერ ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შურა, ალექსანდრე გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯანიკო მანდარიას**
გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ცვარიანი, ამირან კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ გულნარა, პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ბეჟო გურგუჩიანი, ლეო ტვილდიანი, გელა გუგავა, ზაურ ნემსწვერიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ოჯახს
**ბუჭუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

უჩა, აქვსენტი, ბორის გოლეთიანები, თამაზ ჩაკვეტაძე, იზო ბობოხიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ შურა, ალექსანდრე გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯანიკოს**
გარდაცვალების გამო.

---

შალვა მაქსიმეს ძე მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**ბუჭუ გურგუჩიანი.**

---

რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა მიქაბერიძეს
**ჯანიკო მანდარიას**
გარდაცვალების გამო.

---

ელგუჯა გუგავა, თამაზ ჩიხლაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ რეზო გურგუჩიანს ძმის
**ჯიუ ალექსის ძე გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომშრომლები თანაუგრძნობენ მარო, გურამ დავითულიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯიუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ნინო ბახვას ასული კოპალიანი, ლაშა ბურჯალიანი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს
**დათო პარსონის ძე ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

გურამ, ჯიბილო გიორგობიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გიზო ხვადაგიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საგზაო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს რეზო, ბადრი გურგუჩიანებს, გია დავითულიანს ძმისა და ბიძის
**ჯიუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე სულიკო, შვილები ციცო, მანანა [illegible], სიძეები თამაზ ჯინჭარაძე, კოტე ჯანელიძე, [illegible] დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გრიშა ილიკოს ძე ხვადაგიანი.**

---

ვალოდია კვენეტაძე, რაინდი მიქაძე, კოტე ლაკვეხელიანი, რაინდი ჩხეტიანი, კლარა ნემსწვერიძე, გრიშა კვენეტაძე, არსენ ლეშკაშელი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარო, გურამ დავითულიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ჯიუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ მამუკა გურგუჩიანს მამის
**ბუჭუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.

---

დავით დავითულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**დავით პარსონის ძე ჩაკვეტაძე.**

---

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაირა, ბადრი ახვლედიანებს ბებიის
**ნადია ლაზარიანის**
გარდაცვალების გამო.

---

რუსუდან, ელგუჯა კაკაბაძეები თანაუგრძნობენ გულნარა და პარსონ ჩაკვეტაძეებს შვილის
**დათო ჩაკვეტაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ია, ბორია, გოგიტა გოლეთიანები თანაუგრძნობენ პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

გურამ ხმელიძე ოჯახით თანაუგრძნობს პარსონ, ვენერა, ნათელა ჩაკვეტაძეებს შვილისა და ძმისშვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

ამბაირ კაზირია ოჯახით თანაუგრძნობს პარსონ ჩაკვეტაძეს შვილის
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

სოფელ ზოგიშის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა
**გიზო შალვას ძე ხვადაგიანი.**

---

ჯიბილო გიორგობიანი ოჯახით თანაუგრძნობს მურმან ხეცურიანს დისშვილის
**გიზო შალვას ძე ხვადაგიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს როზა, მურმან ხეცურიანებს დისშვილის
**გიზო შალვას ძე ხვადაგიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ბუჭუ, ყორა ჩაკვეტაძეები თანაუგრძნობენ პარსონ ჩაკვეტაძის ოჯახს
**დათოს**
გარდაცვალების გამო.

---

რეზო, ზაურ, გოჩა, ბიჭიკო, ანგელი, შუქური, ლავრენტი, გია, ავთო, შამშე, მიშა, პავლე, ვარდენ გოგებაშვილები, დავით, მურთაზ, ხვიჩა ჩაჩხიანები, ილუშა ურთმელიძე, დავით მჟავია თანაუგრძნობენ გრიგოლ ბურჯალიანს სიძის
**ბუჭუ გურგუჩიანის**
გარდაცვალების გამო.



ეროვნული ბიბლიოთეკა